დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს სქილვილი კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გვანცა პაკატილოვი

წევრები:

ბექა ადუაშვილი

მედეა ზურაბიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება:შპს სქილვილი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406258730

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 ივლისის N860702 ბრძანების საფუძველზე ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს სქილვილში (მისამართი: ქ. თბილისი,ნიკიფორე ირბახის 17) 2025 წლის 22 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. შპს ,,სქილვილმა“ განაცხადი გააკეთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ დამატების შესახებ.

ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი განაცხადი და თანდართული მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეაჯერეს თავიანთი პოზიციები და შეიმუშავეს დღის წესრიგი. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების აკადემიურ დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი წარიმართა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

_____

_____

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

მე-2 სტანდარტის **2.2.1** ინდიკატორი პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით – ***დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.07.2025-20.08.2025) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას.***

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს სქილვილის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2025 წლის 5 აგვისტოს წერილი N00014614) დგინდება, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ნაწილი **III.** ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

პროგრამის სახელწოდება	ზუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს სქილვილის (ს/ნ: 406258730) დირექტორის ბრძანება N 00010303, 01/07/2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ნიკიფორე ირბახის, ქ.17
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	160
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  ---

_____

_____

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. წარმოდგენილია პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილი, რომლის თანახმადაც მოცემული პროფესიული პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მიზანშეწონილობა ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს, დაწესებულების მისიასა და ამოცანებს, აგრეთვე სტრატეგიულ გეგმას.

დაწესებულების სტრატეგიული მიმართულებები მოიცავს შემდეგს:შრომის ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების შეთავაზება, ინოვაციური სასწავლო მიდგომების დანერგვა და სტრატეგიული პარტნიორობების გაძლიერება.

შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციები ცხადყოფს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების მქონე კადრებზე მოთხოვნა სულ უფრო მზარდია. ეკონომიკური გარემოს დინამიური ცვლილებები, რეგულაციების გამკაცრება, ციფრული ფინანსური სისტემების განვითარება და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისადმი მაღალი მოთხოვნები მნიშვნელოვნად ზრდის ამ სფეროში კვალიფიციური კადრების საჭიროებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ მიზანმიმართულად პასუხობს ამ საჭიროებებს.

შპს „ქსილვილის“ მისიაა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ინოვაციური მიდგომით სთავაზობს მომხმარებელებს უმაღლესი ხარისხის სასწავლო გარემოს. დაწესებულების მიზანია დაეხმაროს ადამიანებს დასაქმებისა და განათლების ბაზრის ბარიერების დაძლევაში. საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ სრულ შესაბამისობაშია სქილვილის მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. დაწესებულების მისია ეფუძნება თანამედროვე საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პრინციპებს, რაც ითვალისწინებს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობას, შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დანერგვასა და სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობების ზრდას. პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური ბუღალტერი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ეფექტიანად განხორციელონ ბუღალტრული აღრიცხვა, დაიცვან ფინანსური ანგარიშგების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები და მოერგონ მუდმივად ცვალებად საგადასახადო და ფინანსურ გარემოს

აღნიშნულიდან გამომდინარე პსდს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვის“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურა განსაზღვრულია სქილვილის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მართვა” წესით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შეფასებას მოტივაციური გასაუბრების გზით. დაწესებულებას კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი, პროცედურა და აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები.პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  ----------

_____

_____

დაშვების წინაპირობები და შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე ჩაირიცხონ მხოლოდ შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე პირები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით დასრულებას განსაზღვრულ ვადებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. აღნიშნული მეთოდოლგიის თანახმად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო სივრცის A,B და საჭიროების შემთხვევაში C გარემოების არსებობასა და მასში სტუდენტთა სამუშაო ადგილების, ტექნიკური აღჭურვილობისა და ადამიანური რესურსების საჭირო რაოდენობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაწესებულება ითხოვს 160 პროფესიული სტუდენტის მიღებას. დაწესებულების მიერ სწავლებისათვის გამოყოფილი გარემო საშუალებას იძლევა მიიღოს 160 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულებიდ მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. შპს ,,სქილვილი" სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების სრულ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან. სტანდარტის მოთხოვნების მიღმა ასევე გათვალისწინებულია: ინტერაქციული დაფები, რაც ხელს უწყობს ვიზუალური და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების ეფექტიან გამოყენებას; თანამედროვე კომპიუტერები და ლეპტოპები, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს იმუშაონ უახლეს პროგრამულ გარემოში; მიკროფონები და აუდიო სისტემები, რომლებიც აუმჯობესებენ კომუნიკაციის ხარისხს და უზრუნველყოფენ ხმის მკაფიო გადაცემას; სწრაფი და სტაბილური ინტერნეტი, რაც ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების სრულფასოვნად განხორციელებას უწყობს ხელს; მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო მასალები, რაც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების პროცესში გამოხატონ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით, კოლეჯის მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარის შევსების გზით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

_____

_____

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 01 ივლისის N00010303 ბრძანებით. კოლეჯის დირექტორის მიერ. პროგრამის შინაარსი შეესაბამება დადგენილ საგანმანათლებლო სტანდარტებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. შპს სქილვილის ,, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის”მე-2 მუხლის მიხედვით დეტალურად არის გაწერილი პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა. წინამდებარე წესის 2.1 ქუნქტის თახმად ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი“. წინამდებარე ჩანაწერით დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი და დეტალურად გაეცნო პროგრამის დამტკიცების პროცედურის დოკუმენტაციას, შედგა ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან და დადასტურდა, რომ წესში იყო გაპარული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გამოსწორდა ვიზიტის დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კერძოდ: კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „ბუღალტრული აღრიცხვა“ თანხვედრაშია პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის და შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 ბრძანებით დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

_____

_____

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების წინაპირობა, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.
პროგრამა მოიცავს ზოგად და სავალდებულო მოდულებს, ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს.
მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 99 კრედიტია. პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 129 კრედიტია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს სქილვილის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032);
- პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების დამატებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების შესახებ შპს ,,სქილვილის“ დირეტორის წერილი, შპს ,,სქილვილის“ აკადემიურ დირექტორს;
- პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების დამატების შესახებ შპს ,,სქილივილის“ აკადემიური დირექტორის მოხსენებითი ბარათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, (მათ შორის, შრომის ბაზრის კვლევის ანალიზის დოკუმენტი);
- შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N10136 ბრძანება ,,პროფესიული პროგრამების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ“, (ცვლილება შპს სქილვილის 2025 წლის 22 ივლისის N13523 ბრძანება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

- პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმი;

- ,,შპს ,,სქილვილის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ“ შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 1 ივლისის №0010303 ბრძანება;
- შპს სქილვილის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012- 13 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების,ცვილების შეტანისა და გაუქმების წესი;
- შპს სქილვილის დიექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ;
- შპს სქილვილის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012- 13 ბრძანებით დამტკიცებული ,, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის №10133 ბრძანებით დამტკიცებული,,სასწავლო პროცესის მართვის წესი“;
- შპს სქილვილის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ საჭიროებს მხოლოდ A და B სასწავლო გარემოს, (მოცემული პროგრამა არ მოითხოვს C სასწავლო გარემოს.). შესაბამისად შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - A სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული ორი აუდიტორია, რომელიც აღჭურვილი უნდა ყოფილიყო 40 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1 მონიტორი; ასევე B სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული ორი აუდიტორია, რომელშიც განთავსებული უნდა ყოფილიყო 40 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთული უნდა იყოს საბუღალტრო პროგრამის „Oris” დემო ვერსია. აგრეთვე 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 მონიტორი დემონსტრირებისთვის.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისი აუდიტორიები, თუმცა თითოეული აღჭურვილია მხოლოდ პროფესიული სტუდენტის 50 სამუშაო მაგიდით. პროფესიული პროგრამისათვის საჭირო სხვა მატერიალური რესურსი ვიზიტის მიმდინარეობისას აუდიტორიებში არ იყო განთავსებული, თუმცა დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა ამ მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

_____

_____

საბუთები და აგრეთვე დასაწყობებული , შეფუთული მატერიალური რესურსი, რომლის შემოწმება ვერ მოხერხდა. ამასთან დაკავშირებით, შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის N1507_23 ბრძანებით დამტკიცედბულია შესაბამისობის გეგმა.(შევიდა ცვლილება შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 22 ივლისის N1507_24 და შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის N00013710 ბძანებებით),სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია „მატერიალური რესურსების სრულყოფა“ შესასრულებლად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ერთი თვე (22.07.2025 დან–20.08.2025წ.–მდე).

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით ჰყავს 25 პროფესიული მასწავლებელი, 8 დარგობრივი და 17 ზოგადი (მათ შორის ქართული ენის) მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები.

პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. თითო მოდულის განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტები გაესაუბრენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლები არიან პრაქტიკოსები, დარგში კომპეტენტური სპეციალისტები, თუმცა არცერთს არ აქვთ მოდულური სწავლების და შესაბამისად, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მიუხედავად ამისა, გასაუბრებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

_____

_____

დააფიქსირეს თავიანთი მზადყოფნა ამ გამოწვევებზე. პროფესიული სწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით მათ ჩაუტარდათ სასწავლებლის მიერ ტრენინგი, რომლის ამსახველი მასალაც წარმოგვიდგინა სასწავლებელმა. პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ მომავალში აქტიურად ჩაერთვებიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.
პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი სრულად არის გაციფრულებული, მათ შორისაა განმახორციელებელთა მიერ მომზადებული ვიდეორესურსები. ისინი ხელმისაწვდომია და გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში. სასწავლო რესურსების ორგანიზებული და ეფექტური მართვის მიზნით, „სქილვილში“ მოქმედებს შემდეგი შიდა დებულებები და რეგულაციები: **შპს „სქილვილი“-ს ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი** - განსაზღვრავს, როგორ უნდა გამოიყენონ სტუდენტებმა და თანამშრომლებმა ელექტრონული ბიბლიოთეკა და რესურსცენტრი;მოიცავს ბიბლიოთეკის მოხმარების წესებს, ძიების სისტემას და მასალებზე წვდომის პირობებს; ადგენს რეგულაციებს საავტორო უფლებებისა და მასალების გამოყენების ეთიკური ნორმების შესახებ. **,, სქილვილში“ რეგისტრაციისა და ვებსაიტით სარგებლობის წესები და პირობები** - აღწერს, როგორ უნდა გაიარონ მომხმარებლებმა რეგისტრაცია „სქილვილის“ ვებსაიტზე; განსაზღვრავს, რა პირობებით შეუძლიათ სტუდენტებს და პერსონალს სასწავლო პლატფორმაზე წვდომა სადაც განთავსებულია რესურსი,; მოიცავს კონფიდენციალურობის პოლიტიკას, უსაფრთხოების სტანდარტებს და მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს.**მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი** - განსაზღვრავს ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო მასალების, სახელმძღვანელოებისა და სხვა ბეჭდური რესურსების სარგებლობის რეგულაციებს; მოიცავს სასწავლო რესურსების სესხების, დაბრუნებისა და შენახვის წესებს; ადგენს პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრებათ მომხმარებლებს ბიბლიოთეკის წიგნების ან სხვა ფიზიკური რესურსების გამოყენებისას. **ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი** -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

წარმოადგენს ციფრულ რესურსების ერთიან ბაზას (საკითხავ და ვიდეო ლექციებს), რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის; მოიცავს სხვადასხვა სასწავლო მასალას, სახელმძღვანელოებს, ლექციების ჩანაწერებს, კვლევით სტატიებსა და სხვა საჭირო დოკუმენტებს; ხელმისაწვდომია სქილივილის ონლაინ პლატფორმაზე, რაც ამარტივებს მასალების მოძიებასა და გამოყენებას. აღნიშნული დებულებები და რეგულაციები უზრუნველყოფს, რომ „სქილვილის“ საგანმანათლებლო რესურსები იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, ადაპტირებული თანამედროვე ტექნოლოგიებთან და სრულად პასუხობდეს სტუდენტებისა და მასწავლებლების საჭიროებებს.

დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

შპს ,,სქილვილის“ სასწავლო პროცესის მართვის მე-3 თავის მიხედვით, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში. გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამითა ან საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ, ეფექტიან გამოყენებასა და პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამისათვის შემუშავებული ბიუჯეტი მოიცავს ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო აპლიკაციების შეძენას, სტუდენტთა აქტივობებისა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯს. გარდა ამისა ბიუჯეტში გათვალისწინებულია ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები, იჯარის, მივლინებისა და სხვა ოპერაციული ხარჯების დაფარვა. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 20 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

_____

_____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მატერიალური რესურსების ჩამონათვალი;
- შესყიდვის ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსის შესყიდვასთან დაკავშირებით;
- მასწავლებელთა დატვირთვის ფორმის ნიმუში;
- შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის N1507_23 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა.(შევიდა ცვლილება შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 22 ივლისის N1507_24 და შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის N00013710 ბძანებებით),
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლ პირთა სია;
- შპს ,, სქილვილის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები"
- პერსონალის პირადი საქმე;
- პროგრამისა და ხელმძღვანელის დანიშვნის აქტი: შპს სქილვილის (ს/ნ: 406258730) დირექტორის 2025 წლის 01 ივლისის N10303 ბრძანება;
- შპს „სქილვილის“ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
- შპს ,,სქილვილში“ რეგისტრაციის და ვებ. გვერდით სარგებლობის წესები და პირობები;
- შპს ,,სქილვილის“ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- შპს ,,სქილვილის“ ელ.ბიბლიოთეკის კატალოგი.
- შპს ,,სქილვილის“ სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმა - ნიმუში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- კოლეჯის ბიუჯეტი;
- პროგრამის სასწავლო გარემოთა დათვალიერების შედეგი;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- პროგრამის განმახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს, ციკლს:დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.
შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 ბრძანებით დამტკიცებულია, ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია, პროგრამის შეფასების მექანიზმები. ხარისხის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციაა, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების და პროცედურების შემუშავება, დანერგვა და მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. შეფასება ემსახურება პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას, პროფესიულ სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინებას. უზრუნველყოფს პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა შესაბამისი მხარისთვის.დაგეგმე ნაწილში, ახალი პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მიზანშეწონილობა შეიძლება ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს, სქილვილის საჭიროებებს, მისიასა და ამოცანებს, საზოგადოების ან სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მოთხოვნის შედეგებს და სხვა. პროგრამების შეფასებისათვის ხარისხის მართვის სამსახურს შექმნილი აქვს კითხვარები დაინტერესებული მხარეებისათვის. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შესაბამისად კი, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, რიგი საკითხების გაუმჯობესების მიზნით,შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი იმუშავებს და ახორციელებს აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

დაწესებულებას შემუშავებული აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც არგეულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურებს, ასევე, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფის მექანიზმებს. გარდა აღნიშნულისა, კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, რომლის ამოცანებსაც წარმოადგენს, რეკომენდაციების შემუშავება კოლეჯში სასწავლო საქმიანობის მიზნით და სწავლის, სწავლებისა და შეფასების, თანამედროვე მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა. ხარისხის სამსახური, სხვადასხვა კითხვარების მეშვეობით ახორციელებს: ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური,ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ,,სქილვილის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ;
- შპს ,,სქილვილის ხარისხის მართვის სამსახურის დებულება “ ;
- შპს სქილვილის ხარისხის მართვის სამსახურის კითხვარები;
- ხარისხის მართვის სამსახურის კითხვარები;
- ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

„ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია: მოდულზე დაშვების წინაპირობა, კრედიტი, სარეგისტრაციო N, მოდულის დასახელება, სასწავლო კვირა, საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათები. გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი,რომლის მე-2 თავით დარეგულირებულია სასწავლო პროცესის ორგანიზება და ითვალისწინებს მეცადინეობებს ჩატარებას საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რომლის შესაბამისობას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

შპს ,,სქილვილი" უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, რაც გულისხმობს მათ ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას და სწრაფი ადაპტაციის შესაძლებლობას მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად. შპს ,,სქილვილში" მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის მუდმივ შეგროვებას და ანალიზს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, გამოყოფილია სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების მენეჯერი, რომელიც აქტიურად მუშაობს სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობაზე. სწავლებასა და სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი და მოქნილი მეთოდები, რომლებიც ემყარება სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სწავლების ეფექტურობის გაზრდას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისთვის შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მათ ინტერესებს შეესაბამება, რაც ხელს უწყობს მაქსიმალური შედეგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

_____

_____

მიღწევას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით დაკომპლექტდება სასწავლო ჯგუფები, იმის გათვალისწინებით სწავლების რომელ მეთოდს (პირისპირი თუ დისტანციური), ან სწავლის რომელ დროს შეარჩევს სტუდენტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

იმ გამოცდილების საფუძველზე რაც სქილვილს უკვე გააჩნია არაფორმალური თუ ფორმალური განათლების სფეროში, დადასტურებულია რომ შპს "სქილვილში" სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდებს. ეს მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტების ინდივიდუალურ სასწავლო პროცესს, აძლევს მათ შესაძლებლობას, საკუთარი ტემპით აითვისონ მასალა და დააკავშირონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოცდილებასთან.მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება; კეთება ინსტრუქტაჟი და სხვა. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.

მეცადინეობები ტარდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL – Problem-Based Learning) პრინციპებით, რაც გულისხმობს რეალური პროექტების, ქეისების და სიმულაციების გამოყენებას, რათა სტუდენტებმა შეძლონ პრაქტიკაში გადმოიტანონ შეძენილი ცოდნა. სასწავლო სივრცე აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკით.სტუდენტებს ექნებათ წვდომა ინტერაქტიულ სასწავლო პლატფორმებზე და ინდუსტრიის წამყვან ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებზე, რაც მათ გაუმარტივებს უნარების დაუფლებას და რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას. დისტანციური გაკვეთილები შეიძლება ჩატარდეს Zoom-ის და სხვა თანამედროვე პლატფორმების გამოყენებით, ხოლო სასწავლო მასალები და დავალებები ხელმისაწვდომია Learning Management System (LMS) პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და სწავლების უწყვეტობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

შპს „სქილვილი“ სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციამოვალეობათა თანახმად, მასწავლებლის მოვალეობაა პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება სწავლების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში წინადადებების წარდგენა პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის დამატებითი მხარდაჭერის გაწევის აუცილებლობის თაობაზე. დაწესებულებაში მოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის განკუთვნილი მომსახურების რეგულაცია და პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან მონაწილეობას სასწავლო პროცესში. შემუშავებულია ისგ-ს შემუშავების წესი და პროცედურა. ისგ-ს შემუშავება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: პროფესიული სტუდენტის სტატუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  ----------

_____
_____

აღდგენისას; პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობისას; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; სსსმ და შშმ პირთა სწავლებისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

კერძოდ: პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს, შესაბამისად ყველა შედეგი ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დაწესებულებაში დაცულია ზოგადი უსაფრთხოების წესები. არსებული სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს სპეცილურ უსაფრთხოების ზომების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოებისა წესების დაცვისთვის კი დაწესებუ;ებას შემუშავებული აქვს შემდეგი წესები: „შპს „სქილვილ“- ში საოფისე საქმიანობის შრომის უსაფრთხოების წესები (ISO 14001/OHSAS 18001)– ის მიხედვით“; „პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი“ „შრომის უსაფრთხოების წესი“„უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ურთიერთთანმშრომობის მემორანდუმები
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებ ის კვლევის მეთოდოლოგია;
- შინაგანაწესი სტუდენტებისთვის;
- *შპს „სქილვილის სასწავლო პროცესის მართვის წესი“;*
- *„შპს „სქილვილ“- ში საოფისე საქმიანობის შრომის უსაფრთხოების წესები (ISO 14001/OHSAS 18001)– ის მიხედვით“;*
- *„პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი“;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

_____

_____

- *„შრომის უსაფრთხოების წესი“;*
- *„უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“;*
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

შპს სქილვილის ,,სასწავლო პროცესის მართვა" - წესის მე-4 თავით განსაზღვრულია სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი,რომლის მიხედვითაც შეფასება ეფუძნება, ვალიდურობას, სანდოობას,გამჭირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. ასევე, გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისთვის ძირითადი მოთხოვნები. პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ითვალისწინებს კონკრეტული მოდულის მოთხოვნებს, როგორიც არის შეფასების მიმართულება, შეფასები დრო და ა.შ. მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი შეფასების განხორცილებამდე 10 დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისთვის წარუდგნენ, სასწავლო პროცესის სამსახურის მენეჯერს, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხური/დონე, მოდულის დასახელება,სარეგისტრაციო ნომერი და კრედიტის ოდენობა, პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი და ჯგუფის ნომერი, სწავლის შედეგები, დადასტურების თარიღი, შეფასებისთვის განკუთვნილი დრო, შესრულების კრიტერიუმები, დავალების აღწერა (წერილობითი მოკლე აღწერა) თითოეული სწავლის შედეგისთვის, შეფასების მიმართულება, შეფასების ინსტრუმენტი, მტკიცებულება, სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო (A,B,C), განმეორებითი შეფასების პირობები, შეფასების ინსტრუმენტის ავტორი,შემფასებლისა და პროფესიული სტუდენტის ხელმოწერები.სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (ვალიდატორი) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან: არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება; არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი; არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი შეფასების წესი, ასევე არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების და სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  ----------

_____

_____

შეფასებისას გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების საკითხები. მტკიცებულებად წარმოდგენილია შპს ,,სქილვილის“ სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-5 თავით განსაზღვრული ,,შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. ვერიფიკაცია წარმოადგენს შპს „სქილვილის'' მიერ გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმებად განსაზღვრულია: შერჩევის მექანიზმი (რისკების საფუძველზე); პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; განმახორციელებელი პირების განსაზღვრა; პროცედურები (დასკვნა, განხილვა, სამოქმედო გეგმა და სხვ.). შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი. რეგულაციით განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ ვერიფიკაციის ჩატარების პროცედურა. ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესისა და პროგრამების გაუმჯობესებისთვის. ვერიფიკაციის შედეგები შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტის განვითარების რესურსი. შპს ,,სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N9910 ბრძანებით,ასევე დამტკიცებულია ,,ვერიფიკაციის ახალი ფორმა“, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია ვერიფაკაციის დასკვნის ფორმა და ბლოგებად არის ჩაშლილი თუ რა პრინციპით ხდება შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პსდ რეგულაციათა თანახმად, შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს სათანადო აღრიცხვის მიზნით. შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3(სამი) წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

შპს ,,სქილვილი“ ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, რაც მოიცავს სწავლის რაც მოიცავს სწავლის შედეგის დადასტურების ან ვერ დადასტურების მაჩვენებლებს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მონაცემები გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარების, სწავლების ხარისხის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ,,სქილვილის“ სასწავლო პროცესის მართვის წესის
- ,,ხარისხის მართვის სამსახურის დებულება”
- ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი”;
- ვერიფიკაციის ახალი ფორმა;
- პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვისა წესი;
- ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

27.08.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
_____
_____